

სავალუტო რყევებისა და საგარეო ვაჭრობის დინამიკის პარადიგმა

მიხეილ თოქმაგიშვილი

ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის პროფესორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

საკვანძო სიტყვები: სავალუტო კურსი, საგარეო ვაჭრობა, სავალუტო პოლიტიკა, სავაჭრო პოლიტიკა, საქართველო

ეკონომიკური მეცნიერებაში ფართოდ გავრცელებულია შეხედულება, რომლის თანახმად, გაცვლითი კურსის არასტაბილურობას აქვს უარყოფითი გავლენა ქვეყნის სავაჭრო ურთიერთობებზე და ქმნის გაურკვევლობას სამეწარმეო საქმიანობაში (Alam, S.. 2011); კურსის რყევისას წარმოიშობა უარყოფითი ეფექტების მოლოდინი (Caglayan, M..2010); კურსის დევალვაცია და რყევები მტკივნეულად ზემოქმედებს ვაჭრობაზე, თუმცა მას აქვს არაპირდაპირი ნეგატიური ეფექტი სავაჭრო ნაკადებზე (Bahmani-Oskooee M.. 2009); კურსის რყევები პირდაპირ არ ზემოქმედებენ სავაჭრო ბრუნვაზე, მაგრამ გაურკვევლობა მნიშვნელოვან ზემოქმედებას ახდენს საერთაშორისო ტრანზაქციებზე (Hudson, A. 2010). კვლევები ადასტურებენ, ასევე რომ კურსის ცვლილებების შედეგი შეიძლება სხვადასხვა იყოს და ისინი განსხვავებულნი არიან დარგების, პერიოდების და ქვეყნების შესაბამისად.

დისკუსია მიმდინარეობს იმის თაობაზეც, თუ რა შემთხვევაში შეიძლება ჰქონდეს ეროვნული ვალუტის რყევებს დადებითი ეფექტი.

სავალუტო ფონდის ერთ-ერთ მოხსენებაში აღნიშნულია, რომ სავალუტო რისკების ზრდა ზრდის ექსპორტს [De Grauwe 1988]. ქვეყანაში სადაც იზრდება გაურკვევლობა, მეწარმეები შეეცდებიან გავიდნენ ახალ ბაზრებზე, თუმცა ასევე შესაძლებელია საწინააღმდეგოც მოხდეს და ეკონომიკა დაეცეს. იმის მტკიცება, რომ კურსის

რყევა გზას გაუხსნის ექსპორტს ახალი ბაზრებისაკენ, ეფუძნება მხოლოდ გაურკვევლობის მომენტის გამოყენებას, რასაც შესაძლებელია ურთიერთსაწინააღმდეგო შედეგი ჰქონდეს სხვადასხვა ბაზრებზე. სწორედ ამიტომ მისი დადებითი თუ უარყოფითი ეფექტის განსაზღვრა დამოკიდებული ხდება იმაზე, თუ რა დაშვებებია გაკეთებული პრობლემების ასახსნელად (Sercu P 1998).

ბრეტონ ვუდსის სისტემის შემდეგ კურსის რყევების სიხშირე გაიზარდა და მისი ზემოქმედება გლობალურ ვაჭრობაზე ნეგატიური იყო, მაგრამ იგი იყო ძალიან სუსტი. ეს ემპირიული ფაქტი არ არის საყოველთაო (IMF). თუმცა არსებობს იმის მტკიცებაც, რომ სრულყოფილი ვაჭრობა ახდენს ვალუტის კურსის რყევების ნეიტრალიზებას და ამცირებს მათ [Mundell 1961].

ვალუტის ცვლილებების ნეგატიური ეფექტი საგარეო ვაჭრობაზე დამოკიდებულია როგორც ვალუტის რეგულირების წესზე, ასევე ქვეყნების ინტეგრაციის დონეზე, სტრატეგიულ პოლიტიკაზე და სხვა. გარემოებებზე. როგორც მრავალი კვლევა ადასტურებს, მას აქვს მოკლევადიანი ეფექტი, მაგრამ მისი მოქმედების ეფექტი განსხვავებულია დროის სხვადასხვა მონაკვეთში [Marc Aubeoin 2011]. სხვა კვლევების თანახმად, მართალია გაცვლით კურსის ზემოქმედებას აქვს ნეგატიურ ეფექტი, მაგრამ იგი ზემოქმედებს არ ექსპორტზე, არამედ იმპორტის შეზღუდვაზე [Staiger 2010].

ამდენად, სამეცნიერო ლიტერატურაში არ დგას

საკითხი ცალსახად გაცვლითი კურსის რყევების ნეგატიური ეფექტის შესახებ. კურსის რყევებმა სტაბილურ და პროგნოზირებად ეკონომიკაში დადებითი როლიც შეასრულოს, თუ კი კურსის ცვლილების რისკი მაღალ უკუგებას მისცემს ქვეყანას. ამ თვალსაზრისით, მკვლევართა გარკვეული ჯგუფი განასხვავებს კურსის რყევების შემოქმედებას ცალკეულ დარგებში და პროდუქტის სახეობებზე ხანმოკლე და ხანგრძლივი პერიოდებში.

ერთ-ერთი კვლევის თანახმად, არსებობს კორელაციური კავშირი გაცვლითი კურსის რყევებს, ფასებს, იმპორტზე მოთხოვნასა და ექსპორტს შორის ხანგრძლივი პერიოდში [Ozturk 2009], ხოლო სხვა ნაშრომებში კი ეს კავშირი მხოლოდ ხანმოკლე პერიოდით დასტურდება [Bahmani-Oskooee 2009]. ამ კვლევების ავტორების აზრით, კურსის ცვლილება ხანმოკლე პერიოდში ახდენს გავლენას ეკონომიკაზე, იმპორტზე მოთხოვნაზე და სავაჭრო ბრუნვაზე, თუმცა ისინი იმასაც აღნიშნავენ, რომ შემოქმედების ეფექტი დამოკიდებულია დარგის მნიშვნელობაზე და როლზე ეკონომიკაში. ინტეგრაცია და დარგობრივი ვაჭრობა ამცირებს სავაჭრო ნაკადების მგრძობიარობას გაცვლითი კურსის ცვლილებებით გამოწვეულ გაურკვეველობაზე.

სხვა მკვლევარები კი ამტკიცებენ, რომ კურსის ცვლილების ეფექტის პოზიტიური შესაძლებლობა იქმნება მაშინ, როდესაც რისკებისადმი ტოლერანტობა მაღალია და ფასების ცვლილებისადმი მგძნობიარობა დაბალია [Ozturk 2009]; ვალუტის რყევებს აქვს პოზიტიური შემოქმედება დარგთაშორის ვაჭრობაზე და მას აქვს ე.წ. „გადასახადის ეფექტის“ როლი ექსპორტზე [Kumar 1992]. გაცვლითი კურსის რყევების დადებით ეფექტს ამტკიცებენ სხვა ავტორებიც [McKenzie 1997]. როგორც ამ ზოგიერთი ლიტერატურის ანალიზიდან ჩანს, გაცვლითი კურსის რყევების შემოქმედების ნეგატიურ ეფექტს მრავალი ეკონომისტი აღიარებს, ხოლო მის დადებით ეფექტს კი ცალკეული ფაქტორების ახსნით ცდილობენ [Krugman 2010:450].

სხვა კვლევები აქცენტს სახელმწიფოს სიდიდეზე აკეთებენ. ამ კვლევების თანახმად, გაცვლითი კურსის ცვლილებები შემოქმედებს მცირე ქვეყნებზე და ნაკლებად შემოქმედებს დიდ ქვეყნებზე, რადგან მცირე ქვეყნებში ვაჭრობა ნაკლებად დივერსიფიცირებულია. თუმცა ისიც არის აღიარებული, რომ ზოგიერთ ქვეყანაში მისი ეფექტი დადებითი იყო და სხვა ქვეყნებში კი – უარყოფითი; გარდა ამისა, ხანგრძლივი პერიოდში განვითარებული ქვეყნების ექსპორტის გაზრდაში ვალუტის

გაუფასურებას ჰქონდა განმსაზღვრელი როლი [Freund 2010]. იგივეს ამტკიცებს სხვა ნაშრომებიც განვითარებადი ქვეყნების მაგალითზე [Haddad 2010].

მთლიანობაში გაცვლითი კურსის რყევების შემოქმედება ვაჭრობაზე არ არის საყოველთაო და მასშტაბური [Taglioni 2002]. მისი შემოქმედება ზოგან დადებითია და ზოგან კი უარყოფითი [Ozturk 2006]. მათი ეფექტი მცირდება იმის მიხედვით, თუ რამდენად ფართო და დივერსიფიცირებულია საერთაშორისო ვაჭრობა, რამდენად მოქნილია სავაჭრო პოლიტიკა და სავალუტო კურსის რეგულირება, ფირმებისა და ფასების ელასტიურობა, რამდენად ღრმად ქვეყნების ინტეგრაციას დონე და სხვა. ამდენად ეს საკითხი არის საკმაოდ რთული და მრავალწახნაგოვანი.

მართალია, გაცვლითი კურსის რყევას აქვს კორელაციური კავშირი ვაჭრობასთან, მაგრამ მისი დადებითი და ნეგატიური ეფექტი მხოლოდ სხვადასხვა დარგებისა და ქვეყნების მიმართ შესაძლებელია განსხვავებული იყოს.

მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის ერთ-ერთ გამოკვლევაში აღნიშნულია, რომ 2004 წლამდე, მკვლევარების აქცენტი გაკეთებულ იყო გაცვლითი კურსის და ვაჭრობის კავშირზე, გაცვლითი კურსის რყევის ეფექტზე ვაჭრობაზე, რაც გამომდინარეობდა ახალი სავაჭრო თეორიიდან (“new-new“ trade theory), ხოლო 2005 წლიდან აქცენტი გადავიდა გაცვლითი კურსის დონეზე, მისი რეგულირების შემოქმედებაზე სავაჭრო ურთიერთობებზე [Auboin 2011].

როგორც ლიტერატურის ზოგადი მიმოხილვიდან ჩანს, ვაჭრობაზე გაცვლითი კურსის შემოქმედება სხვადასხვა ასპექტიდან განიხილება. თეორიულად კურსის რყევების შემოქმედება ვაჭრობაზე არის საკამათო და კვლევის შედეგებიც საკმაოდ განსხვავებულია. იგი დამყარებულია იმაზე, თუ რა დაშვებები აქვთ გაკეთებული მკვლევარებს მისი მოდელირებისას.

საერთაშორისო ვაჭრობაში შემოსავლების, ინფლაციის, ფასების და საპროცენტო განაკვეთის ცვლილებების შემოქმედებს ვალუტის საერთაშორისო ღირებულებაზე. თავის მხრივ საერთაშორისო ვალუტის გაცვლის კურსის ცვლილებაც შემოქმედებს საქონლისა და მომსახურების მოთხოვნაზე ვაჭრობაში. როდესაც დოლარში გაზრდილი იმპორტი არის დაბალი ღირებულების, მაშინ ყველა ამ ფაქტორის შემოქმედების სიხშირე, ეფექტი და ხარისხი არის განსხვავებული, ამიტომ დაშვებები გაცვლითი კურსისა და ვაჭრობის მოდელში ხდება განმსაზღვრელი კვლევითი შედეგების მიღებაში.

ამ პრობლემის ერთ-ერთი ასპექტია სავალუტი რყევების სიხშირეებისა და ვაჭრობის დინამიკის შედარებითი ანალიზი, რაც საშუალებას იძლევა იმის გამოსავლენად, თუ რამდენად ძლიერია ვალუტის რყევების ზემოქმედება საგარეო ვაჭრობის ცვლილებებზე.

გაცვლითი კურსის ცვლილებების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კრიტერიუმია სავაჭრო ნაკადების სენსიტიურობა გაცვლითი კურსის რყევებზე [Rey 2006]. სხვა მნიშვნელოვანი დეტერმინანტებია სავაჭრო პოლიტიკა, მაკროეკონომიკური პოლიტიკა, კაპიტალის შემოდინება და სხვა. როდესაც ეს ფაქტორები მგრძობიარეა ვაჭრობის მიმართ, მაშინ მათ შეუძლიათ შეამცირონ გაცვლითი კურსის ცვლილების ზემოქმედების ეფექტი. თავისუფალ სავაჭრო პოლიტიკასა და გაცვლითი კურსის რეჟიმს საკმაოდ დიდი მნიშვნელობა აქვს ქვეყნების სავაჭრო ურთიერთობების დინამიურ განვითარებაში.

ვაჭრობაზე ზემოქმედებს როგორც გაცვლითი კურსის სიხშირე, რომელიც განისაზღვრება ყოველდღიური და ყოველთვიური ცვლილებებით წინა პერიოდთან შედარებით, ასევე მისი მდგრადობა გაცვლითი კურსის ხანგრძლივ პერიოდში დაფიქსირებულ წონასწორობის დონესთან. ეს ეფექტები განსხვავებულია და მათ შესაძლებელია ჰქონდეს როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი შედეგები.

ეროვნული ვალუტის კურსის რყევისა და ვაჭრობის ურთიერთკავშირის განხილვისას მხედველობაში გვაქვს ისიც, თუ ექსპორტი რამდენად არის დივერსიფიცირებული და გააჩნია თუ არა მათ სუბსტიტუტი. მასზე მოთხოვნა-მიწოდების ფაქტორი არის ძირითადი დეტერმინანტი.

საქართველოსა და თურქეთის მაგალითზე თურქული ლირას და ქართული ლარის რყევისა და ამ ქვეყნებს შორის ექსპორტ-იმპორტის თანაფარდობების შედარების საფუძველზე ვლინდება, რომ: გრძელვადიან პერიოდში თურქული ლირას რყევის სიხშირე აღემატებოდა ლარის რყევის სიხშირეს თითქმის 6 ჯერ, ხოლო თურქული ლირას საშუალო წლიურმა ნომინალურმა გაუფასურებამ აშშ დოლარის მიმართ 2016 წელს 1996 წელთან შედარებით შეადგინა 364 პროცენტი, ხოლო ქართული ლარის შესაბამისმა მაჩვენებელმა კი – 195 პროცენტი.

სრულად საწინააღმდეგო სურათი გვაქვს სავაჭრო ბრუნვასთან დაკავშირებით. ამავე პერიოდში ექსპორტის საშუალო წლიური ზრდის ტემპი თურქეთიდან საქართველოში 174 პროცენტით აღემატებოდა ექსპორტს

საქართველოდან თურქეთში. ამის შედეგად ქართული ლარის რეალური კურსი თურქული ლირასთან გამყარდა 11.5 პროცენტით (ინდექსი 1995=100). თურქული ლირას რეალური კურსის ფორმირება ქართულ ლართან განაპირობა ლირას გაუფასურების სიღრმემ და სიხშირემ. ქართული ლარის შედარებით სტაბილურმა მდგომარეობამ ლირასთან მიმართებაში ვერ მოახდინა მნიშვნელოვანი გავლენა საქართველოს ექსპორტის უპირატეს ბრდაზე და თურქეთის სავაჭრო უპირატესობები (მასშტაბის ეკონომია, ლოჯისტიკა, წარმოების ტექნოლოგიური დონე და სხვა) და თურქული ლირას გაუფასურება აშშ დოლართან გახდა მისი ექსპორტის ზრდის პირობა, რომელმაც მნიშვნელოვნად განაპირობა საქართველოს საგარეო სავაჭრო დეფიციტის ზრდა თურქეთთან.

სავალუტი რყევების საშუალოვადიან ციკლებში განსხვავებული იყო ეროვნული ვალუტების რყევების სიხშირეები. ქართული ლარი ყველა პერიოდში ნაკლებად მერყეობდა თურქულ ლირასთან შედარებით. რყევების მაქსიმალურ სიდიდე 1996-2000 წლებში აღინიშნებოდა, ხოლო თურქული ექსპორტის მაქსიმალური ზრდა 2004-2008 წლებში იყო. ამასთან, სხვა პერიოდებისაგან განსხვავებით, მართალია 1996-2000 და 2012-2016 წლებში თურქული ლირას რყევების სიხშირე უფრო მაღალი იყო ვიდრე ლარის, მაგამ ამ ციკლებში ქართული ექსპორტის ზრდის ტემპები აღემატებოდა თურქეთიდან ექსპორტის ზრდის ტემპებს, რაც იმაზე მეტყველებს, რომ პირდაპირი კორელაციური კავშირი ვალუტის რყევებსა და ვაჭრობის ცვლილებებს შორის არ შეინიშნებოდა.

1996-2004 წლებში, ლარი თურქულ ლირასთან რეალურად გამყარდა 22 პროცენტით, მაგრამ საქართველოს ექსპორტის ზრდის ტემპმა შეადგინა 148.8 პროცენტი, უფრო მეტი, ვიდრე გაიზარდა თურქეთიდან იმპორტი (133.1 პროცენტი). (იხ. ცხრილი 1)¹. 2004-2012 წლებში ლარის რეალური კურსი შემცირდა ლირასთან მიმართებაში. ამავე პერიოდში თურქეთის ექსპორტის ზრდის ტემპმა საქართველოში მიაღწია კულმინაციას, ხოლო 2008-2016 წლებში კი ლარისა და ლირას ცვლილებების მიუხედავად, თურქეთის ექსპორტი კვლავ აჭარბებდა საქართველოდან ექსპორტს. ეს გარემოება მეტყველებს იმაზე, რომ საქართველო-თურქეთის სავაჭრო ურთიერთობებში ლარი-ლირას რეალური გაცვლითი კურსის ფორმირების ეფექტი ნეიტრალურია.

¹ აქ ისიც უნდა მივიღოთ მხედველობაში, რომ ამ ციკლში არ არის ასახული 1994 წელს თურქეთში სავალუტო კრიზისი, რომლის შედეგებიც მომდევნო წლებში გამოვლინდა.

	1996-2000	2000-2004	2004-2008	2008-2012	2012-2016
საქართველოდან თურქეთში ექსპორტის ზრდის ტემპი	115.7	133.1	128.0	100.3	100.3
თურქეთიდან საქართველოში ექსპორტის ზრდის ტემპი	105.9	125.2	154.7	116.9	102.7
ქართული ლარი (რყევის წლიური სიხშირე)	0.13	0.04	0.06	0.04	0.14
თურქული ლირა (რყევის წლიური სიხშირე)	0.55	0.13	0.29	0.38	0.26
ლარი-თურქული ლირას რეალური გაცვლითი კურსის ცვლილება (ციკლის დასაწყისი= 100)	80	98	115	126	70

ცხრილი 1. ეროვნული ვალუტების რყევები და ვაჭრობის ზრდის ტემპები (საშუალო წლიური)

მიუხედავად გაცვლის კურსის ნეიტრალური ხასიათისა, გაცვლით კურსსა და სავაჭრო ბალანსის ურთიერთკავშირი სავალუტო ციკლების პერიოდებში J-მრუდის ეფექტის ფორმის არის¹. ამდენად, საქართველო-თურქეთის სავაჭრო ურთიერთობებზე ზემოქმედებს ეროვნული ვალუტების სუბსტიტუტ ვალუტასთან გაცვლითი კურსის რყევები.

ამდენად, საქართველო-თურქეთის ვაჭრობისა და გაცვლით კურსების რყევების ემპირიული შეფასებით, შეიძლება დავასკვნათ ჰიპოთეზურად:

გრძელვადიან პერიოდებში თურქეთსა და საქართველოს შორის სავაჭრო ვაჭრობა არის მდგრადი და ორის ქვეყნის ეროვნული ვალუტების რყევები მის ცვლილებებზე მნიშვნელოვან ზემოქმედებას ვერ ახდენს.

მოკლევადიან და საშუალოვადიან პერიოდებში ექსპორტ-იმპორტის ტემპების ახსნა ეროვნული სავალუტო კურსის ცვლილებებით არ ავლენს მათ შორის მკაფიო კორელაციურ კავშირებს. ლარი-ლირას კურსის შედეგად არ ხდება შესაბამისი ცვლილებები ვაჭრობაში.

გაცვლითი კურსის ცვლილებების ზემოქმედება ექსპორტისა და იმპორტის თანაფარდობაზე და ეროვნული ვალუტის გამყარება არ იწვევს მყისიერად ექსპორტის გაუარესებას ან იმპორტის სტიმულირებას. ეს გარემოება არც სავალუტო ციკლების პერიოდებში აღინიშნება.

ვაჭრობის განვითარება დამოკიდებული ხდება ეროვნული ვალუტის სუბსტიტუტ ვალუტასთან კურსის

¹ იმ შემთხვევაში, თუ მას ეროვნული ვალუტების აშშ დოლართან მიმართებაში განვიხილავთ.

ცვლილებაზე და ქვეყნების მიერ გატარებულ საერთო ეკონომიკურ პოლიტიკაზე.

გამოყენებული ლიტერატურა

1. **Alam, S. And Ahmad, Q. (2011)**. “Exchange Rate Volatility and Pakistan’s Bilateral Imports from Major Sources: An Application of ARDL Approach“, International Journal of Economics and Finance, Vol. 3, No. 2.
2. **Caglayan, M. and Di, J. (2010)** “Does Real Exchange Rate Volatility Affect Sectoral Trade Flows?“ Southern Economic Journal 2010, 77(2).
3. **Bahmani-Oskooee, M. and Hegerty, S. W. (2009)**. “The Effects of Exchange-Rate Volatility on Commodity Trade between the United States and Mexico“, Southern Economic Journal, 2009, 75(4).
4. **Hudson, A. and Straathof, B. (2010)** “The Declining Impact of Exchange Rate Volatility on Trade“, De Economist 158, No.4, 2010.
5. **De Grauwe, P. (1988)**, “Exchange Rate Variability and the Slowdown in Growth of International Trade“, IMF Staff Papers, 35.
6. **Sercu, P. and Uppal, R. (1998)**, “Exchange Rate Volatility, International Trade: A general Equilibrium analysis“, Mimeo, University of British Columbia. <http://facultyresearch.london.edu/docs/SercuUppal.pdf>
7. **Exchange Rate Volatility and Trade Flows – Some New Evidences, IMF (2004)**, Occasional Paper 235.
8. **Mundell, Robert (1961)**, A Theory of Optimum Currency Areas, American Economic Review, 51, (September). <https://www.aeaweb.org/aer/top20/51.4.657-665.pdf>
9. **Auboin Marc and Ruta Michele, The Relationship**

- between Exchange rates and International Trade: a Review of Economic Literature. Staff Working Paper ERSD-2011-17 27, WTO, October 2011.**
10. **Staiger, Robert W. and Alan O. Sykes (2010)**, “Currency manipulation“ and world trade, *World Trade Review* 9(4).
 11. **Ozturk, I. and Kalyonju, H. (2009)**, “Exchange Rate Volatility and Trade: An Empirical Investigation from Cross-Country Comparison“, *African Development Review*, Vol. 21, No. 3.
 12. **Bahmani-Oskooee, M. and Hegerty, S.W. (2009)** “The Effects of Exchange-Rate Volatility on Commodity Trade between the United States and Mexico“, *Southern Economic Journal*, 2009, 75(4).
 13. **Ozturk, I. and Kalyonju, H. (2009)**, “Exchange Rate Volatility and Trade: An Empirical Investigation from Cross-Country Comparison“, *African Development Review*, Vol. 21, No. 3.
 14. **Kumar, Vikram (1992)**, The Real Effects of Exchange Rate Risk on International Trade, Working Paper 92/5, Federal Reserve Bank of Atlanta.
 15. **McKenzie, Michael D. and R. Brooks (1997)**, “The Impact of Exchange Rate Volatility on German – US Trade Flows“, *Journal of International Financial Markets, Institutions and Money*, 7.
 16. **Klein, M. (1990)**, “Sectoral Effects of Exchange Rate Volatility on United States Exports“. *Journal of International Money and Finance*, 9.
 17. **Adnan Kasman, Saadet Kasman (2005)**, “Exchange rate uncertainty in Turkey and its impact on export volume“, *METU Studies in Development*, 32 (June).
 18. **Krugman P., Obstfeld M., Melitz M. (2012)**, *International Economics: Theory & Policy*.
 19. **To What Extent Do Exchange Rates and Their Volatility Affect Trade? The Case of Two Small Open Economies, China and New Zealand, TAD/TC/WP (2011)**.
 20. **Freund, Caroline and Martha Denisse Pierola, (2010)**, Export entrepreneurs: evidence from Peru, Policy Research Working Paper Series, # 5407, The World Bank.
 21. **Haddad, Mona and Cosimo Pancaro (2010)**, Can Real Exchange Rate Undervaluation Boost Exports and Growth in Developing Countries? Yes, But Not for Long, *Economic Premise*, # 20. World Bank.
 22. **Taglioni, Daria (2002)**, Exchange Rate Volatility as a Barrier to Trade: New Methodologies and Recent Evidences, *Economie Internationale (CEPII)*, Quarter 1-2.
 23. **Ozturk, Ilhan (2006)**, Exchange Rate Volatility and Trade: A Literature Survey, *International Journal of Applied Econometrics and Quantitative Studies*, Vol. 3.
 24. **Auboin Marc and Ruta Michele (2011)**, The Relationship Between Exchange rates and International Trade: a Review of Economic Literature. Staff Working Paper ERSD-2011-17 27, WTO.
 25. **Rey S. (2006)**, Effective Exchange Rate Volatility and MENA countries Exports to the EU, *Journal of Economic Development*, 2, Volume 31, Number 2, December. <http://www.jed.or.kr/full-text/31-2/2.pdf>

Paradigm of Currency Exchange Fluctuations and Foreign Trade Dynamics

Mikheil Tokmazishvili

Doctor of Economic Sciences, Professor St. Andrew the First-Called Georgian University of the Patriarchate of Georgia, Ass. Professor Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Key words: foreign exchange, foreign trade, monetary policy, trade policy, Georgia

This paper focuses on the currency rate changes and the impact of the currency fluctuations on trade flows. Through the empirical estimation of trade relations and exchange rate fluctuations, it is concluded, that the frequency of the foreign exchange fluctuations and the currency cycles were not reflected on Georgia-Turkey trade relations sufficiently. Trade flows were relatively dynamically. This case does not fully correspond to the widespread opinion according to which the exchange rate instability has a negative impact on trade relations, creates uncertainty and gives rise to the adverse effects of the expectations of business activity.

Impact of the exchange rate fluctuations on the countries' trade relations changes in the short and long term has different characteristics. Explanation of the export-import changes in short and medium term through the national currency exchange rate cycles does not show the correlation between them; and in the long-term – the national currency devaluation effect on dynamics of the trade relations was very slow. Foreign trade was sustainable, and the country's national currency fluctuations did not have a significant role in the trade changes. Moreover, impact of the exchange rate on the ratio of export and import and national currency appreciation has not led to the deterioration of export conditions.